სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

7 მაისი 20 25 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 53

კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2025 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მოხსნის შესახებ

„კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N172/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, “კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2025 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2025 წლის 6 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N492469) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2025 წლის საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო მოიხსნას საგრანტო განაცხადი:

პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
CS-I-25-030	„ფრანგული სტრუქტურალიზმი და კავკასიური კვლევები ჟორჟ დიუმეზილის უცნობი საარქივო მასალების მიხედვით”	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა: (პროექტში აუცილებელია ჩართული იყოს უცხოელი (კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები) მეცნიერი, არანაკლებ 1/4-სა)

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი